აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ანგარიში

(16.03.2017 წ. -20.04.2018 წ.)

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის გენდერული თანასწორობის საბჭოს, რომლის შემადგენლობა, სტატუსი და ფუნქციები განისაზღვრება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს რეგლამენტითა და გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით.

2017 წლის 16 მარტს, აჭარის ა. რ. უმაღლესი საბჭოს #35 -უ.ს.გ.ს დადგენილებით შეიქმნა უმაღლესი საბჭოს (2016-2020 წწ.) მოწვევის ახალი გენდერული თანასწორობის საბჭო და დამტკიცდა მისი დებულება.

აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის #14 ბრძანების შესაბამისად, 2017 წლის 21 მარტიდან გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელმძღვანელობს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია, ხოლო 19 აპრილის #17 ბრძანებით, მისი შემადგენლობა განისაზღვრა 10 წევრით:

1. ნინო ჩხეტია
2. მერაბ კარანაზე
3. ირაკლი ჭეიშვილი
4. დავით ბაციკაძე
5. ცოტნე ანანიძე
6. ილია ვერძაძე
7. ასმათ დიასამიძე
8. გია აბულაძე
9. გიორგი ცინცქილაძე
10. პეტრე ზამბახიძე

შესაბამისად, წინამდებარე ანგარიში მოიცავს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნიდან 2018 წლის 20 აპრილამდე პერიოდს.

საბჭო საქართველოს პარლამეტის მიერ განსაზღვრული გენდერულ თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას და უზრუნველყოფს მისი შესრულების კოორდინაციასა და მონიტორინგს, ხოლო წელიწადში ერთხელ უმაღლეს საბჭოს წარუდგენს გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

აჭარის ა.რ. უმაღლესმა საბჭომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონიძიებათა 2016–2018 წლების - სამოქმედო გეგმა 2016 წლის 19 მაისის #160 დადგენილებით მიიღო, რომლითაც ხელმძღვანელობს თავის საქმიანობაში გენდერული თანასწორობის საბჭო.

საბჭოს მიზანია გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, აჭარის რეგიონში დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის, ქალთა გაძლიერების, ქალთა მონაწილეობითი პოლიტიკის, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშემწყობი და მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება.

ამ თვალსაზრისით, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის ნინო ჩხეტიას ინიციატივით გატარდა ღონისძიებები და საბჭოს წევრების მონაწილეობით გაიმართა არაერთი ღონისძიება.

საანგარიშო პერიოდში გენდერული თანასწორობის საბჭომ მოიწვია 4 სხდომა

I. **2017 წლის 20 აპრილის** სხდომაზე განისაზღვრა გენდერული თანასწორობის საბჭოს ახალი შემადგენლობა, საბჭოს ორგანიზაციულ ტექნიკური უზრუნველყოფისთვის აპარატის შემადგენლობა, ასევე მოხდა გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის გაცნობა.

II. **2017 წლის 24 აგვისტოს** სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება - გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლის სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობის შესახებ.

აღნიშნულზე, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ჩხეტიამ, 2017 წლის 6 ოქტომბერს, მიმართა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარეს, რაზედაც მიმდინარეობს მოლაპარაკება შესაბამის უწყებასთან.

III. **2018 წლის 23 თებერვლის** სხდომაზე, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის რეკომენდაციითა (2018 წლის 14 თებერვალი) და აქტიური თანამშრომლობით, აჭარის ა.რ. გენდერული თანასწორობის საბჭო აჭარაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის პოლიტიკის გავრცელების, ქალთა პოლიტიკური გაძლიერების, გენდერული ბიუჯეტირების ასპექტის განსახორციელებლად, ღია და კოორდინირებულ მუშაობას სთავაზობს აჭარის მთავრობის, სამინისტროების, საზოგადოებრივი მაუწყებლისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს, ამ მიზნით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოსთან არსებული გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის შექმნის შესახებ.

2018 წლის 27-28 მარტს, აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე ეცნობათ შესაბამის უწყებებს და თანამშრომლობის სურვილის შემთხვევაში ეთხოვათ კანდიდატურების წარმოდგენა, რომლებიც წერილობით წარმოადგინეს.

IV. **2018 წლის 13 აპრილის** სხდომაზე განისაზღვრა აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოსთან არსებული გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობა პარიტეტის სრული დაცვით გენდერული თანასწორობის საბჭოს 6 წევრი (ფრაქცია „ქართული ოცნების"(2); ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" (2) დამოუკიდებელი დეპუტატი (2)), აჭარის ა.რ. მთავრობის აპარატის (1), სამინისტროების (4), უმაღლესი საარჩევნო კომისიის (1), საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს (1), არასამთავრებო ორგანიზაციების - ბათუმის გენდერის მედეაცენტრისა (1) და აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის EECMD ბათუმის დემოკრატიის სკოლის (1) მიერ მოწოდებული წარმომადგენლებით - სულ 15 წევრით.

გენდერული თანასწორობის საბჭო მუშაობს აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ აჭარის ა.რ. კანონში შესატანი ცვლილების ინიციატივაზე, რომელიც გენდერული კვოტირების საკითხს შეეხება, ასევე მიმდინარეობს დონორ ორგანიზაციებთან მუშაობა, რათა შესაბამისი დარგის ექსპერტების ჩართულობით უმაღლესი საბჭოს იურისტებთან და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან ერთად მოხდეს აჭარის ა.რ. კანონმდებლობის გენდერულ ჭრილში ანალიზი.

ღონისძიებები

1. **10 მარტს, 2017 წ.** გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ჩხეტიამ და წევრმა ცოტნე ანანიძემ უმაღლეს საბჭოში გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართეს საერთაშორისო ორგანიზაცია „მერსი ქორპსი"-ს (Mercy Corps), მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის წარმომადგენლებთან საქართველოში.

მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის წარმომადგენლებმა გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს გააცნეს მათი საქმინობის გენდერული ასპექტები, 2 წლის განმავლობაში მიღწეული შედეგები. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას და მათ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გენდერული თანასწორობის საბჭო აჭარის რეგიონში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გავრცელების მიზნით, აჭარის მუნიციპალიტეტში არსებულ ქალთა ოთახებთან და ქალთა საინიციატივო ჯგუფებთან, პროგრამის განხორციელების პროცესებში თანამშრომლობას დაჰპირდა.
შეხვედრის დასასრულს მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის წარმომადგენლებმა გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები 17 მარტის კონფერენციაზე - „თანასწორი შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში" მიიწვიეს, რომელიც განხორციელდა საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს პატრონაჟითა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ დაფინანსებული „მერსი ქორფს-საქართველოს" პროგრამის ფარგლებში.

2. **17 მარტს, 2017 წ.** თბილისში, სასტუმრო „ჰუალინგ თბილისის" საკონფერენციო დარბაზში კონფერენციას თანასწორი შესაძლებლობებისთვის დაესწრნენ გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები ნინო ჩხეტია და ცოტნე ანანიძე.
ზემოხსენებული პროგრამის მიმდინარეობაში ძირითადი აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ ქალებსაც და მამაკაცებსაც თანაბარი შესაძლებლობები მისცემოდათ, როგორც ეკონომიკური გაძლიერების, ასევე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის კუთხით. ეს მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ იმიტომ რომ ქალები ამ ქვეყნის მოსახლეობის ნახევარს წარმოადგენს, არამედ იმიტომ, რომ ყველაზე წარმატებული ქვეყნების გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ის ქვეყნები, სადაც ქალები და მამაკაცები თანაბრად არიან ჩართულნი გადაწყვეტილების მიღებისა და ეკონომიკურ პროცესებში, ეკონომიკურად ძლიერები და წარმატებულები არიან.
ღონისძიებას ჰყავდა 500 დელეგატი, მონაწილეობდნენ პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, დარგის ექსპერტები და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის თვითმმართველობის წარმომადგენლები.

3. **31 მარტს, 2017 წ.** გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ნინო ჩხეტია ბათუმში, სასტუმრო „შერატონში"გამართულ კონფერენციაში ბათუმის, თბილისის და სამეგრელოს მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდა კონფერენციაში : „ადგილობრივ თვითმმართველობაში გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვა".
გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ჩხეტიამ თავის მოხსენებით სიტყვაში მიმოიხილა ბათუმის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის და გენდერული თანასწორობის სტრატეგიის საკითხები.

ღონისძიება ჩატარდა გაეროს განვითარების პროგრამისა და შვედეთის მთავრობის ხელშეწყობით ერთობლივი პროექტის „გენდერული თანასწორობისთვის" ფარგლებში, ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრის" ორგანიზებით.

4. 21 აპრილს, 2017 წ. საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერულ თანასწორობის საბჭოებს შორის გაიმართა სამუშაო შეხვედრა სახელწოდებით, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელება აჭარაში".
შეხვედრა გახსნა მისასალმებელი სიტყვით უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დავით გაბაიძემ, ხოლო პარლამენტარებმა (მარიამ ჯაში, დიმიტრი ცქიტიშვილი, ადა მარშანია) და დარგის მოწვეულმა ექპერტმა ისაუბრეს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ და ორივე საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებმა წარადგინეს გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმები, რომლის ფარგლებშიც განისაზღვა რეკომენდაციების შემუშავებისა და თანამშრომლობის ფორმატიც.
შეხვედრა უმაღლეს საბჭოში აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით მოეწყო, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ასევე ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერულ საკითხებში პრემიერ-მინისტრის თანაშემწე.

5. 8 მაისს, 2017 წ. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა მონაწილეობა მიიღეს სამუშაო შეხვედრაში : „ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასა და პრევენციაზე", რომელიც გაიმართა ევროპის საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნოსთან თანამშრომლობით (ბორჯომი).
ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასა და პრევენციაზე, რომელსაც სტამბულის კონვენციას უწოდებენ, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 1 აგვისტოს და რატიფიცირებულია 22 წევრი ქვეყნის მიერ.

სამუშაო შეხვედრის მიზნები იყო ე.წ. სტამბულის კონვენციის შინაარსის გაცნობა, საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება, ეფექტური საკანონმდებლო და პოლიტიკური ჩარჩოს შემოღება ოჯახური და ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბძოლისათვის. მსხვერპლთა უსაფრთხოებისა და დაცვისთვის გამოძიებისას და სისხლის სამართლის საქმეებში სპეციალური ზომების მიღებაზე, საკანონმდებლო ორგანოთა როლზე ამ საკითხებზე, ისევე როგორც სტამბულის კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგში.
სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობდნენ დარგის ევროპელი ექსპერტები ფინეთიდან, იტალიიდან და მონაკოდან.

6. 16 მაისს, 2017 წ. საკანონმდებლო ორგანოს გენდერული თანასწორობის საბჭო ფართო წარმომადგენლობით (მერაბ კარანაძე, ცოტნე ანანიძე, ილია ვერძაძე, დავით ბაციკაძე, ასმათ დიასამიძე, გია აბულაძე, პეტრე ზამბახიძე) მონაწილეობდა ბათუმში, სასტუმრო «ჰილტონში" გამართულ კონფერენციაში - „ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობაში - ევროპული ქარტიის პრინციპები".
კონფერენციის მიზანი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდა, „ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ " ევროპული ქარტიის პრინციპების გაცნობა და პოპულარიზაცია იყო.
საბჭოს წევრებმა მოხსენებებში მერაბ კარანაძემ საბჭოს საქმიანობაზე, ხოლო ცოტნე ანანიძემ ქალთა და მამაკაცთა თანასწორობაზე, როგორც დემოკრატიის გარანტიაზე ქვეყანაში, დაბალანსებული წარმომადგენლობის მიღწევის შესაძლებლობებზე (მათ შორის, კვოტირების გზით) ისაუბრეს.
კონფერენციაზე ექსპერტმა გენდერულ საკითხებში ლის შანკემ ნორვეგიული გამოცდილების მიხედვით სქესთა შორის უთანასწორობის დაძლევის სხვადასხვა მეთოდზე ისაუბრა ადგილობრივ დონეზე. ასევე წარმოდგენილი იყო მოხსენებები ქალთა და მამაკაცთა თანასწორობაზე შვედეთის, შვეიცარიის, საფრანგეთის და სხვა ევროპული ქვეყნების მაგალითებზე და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული გენდერული კუთხით კვლევები და შეფასებები საქართველოში.

ღონისძიება საქართველოსა და ნორვეგიის თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციებისა და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით იყო ორგანიზებული, რომელსაც ასევე ესწრებოდნენ აჭარის მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები.

7. 19 მაისს, 2017 წ. გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ნინო ჩხეტია დაესწრო ბათუმის დემოკრატიის სკოლაში მრავალპარტიული დემოკრატიისთვის ნიდერლანდების ინსტიტუტის NIMD -ის მიერ 2015-2016წწ. ჩატარებული პოლიტიკური პარტიების გენდერული თანასწორობის ინდექსის კვლევის პრეზენტაციას.
გენდერული თანასწორობის ინდექსი პარტიებს სამი ძირითადი განზომილებით აფასებს - საარჩევნო, ინსტიტუციური და საპროგრამო, რომელთა ინდიკატორებით გამოყვანილ ქულათა ერთობლიობა, პარტიებში გენდერული თანასწორობის ინდექსის შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

8. 26 ივნისს, 2017 წ. გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ჩხეტიამ, აჭარაში ქალთა მიმართ ძალადობის/ან ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრისთვის აჭარის ა.რ. საკუთრებაში არსებული ფართის გამოყოფაზე, შუამდგომლობით მიმართა აჭარის ა.რ. ფინანასთა და ეკონომიკის მინისტრს. აღნიშნულზე შეთანხმება მიღწეულია და მიმდინარეობს მუშაობა შესაბამისი ფართის შერჩევასთან დაკავშირებით.

9. 7 ივლისს, 2017 წ. გენდერული თანასწორობის საბჭომ, საერთაშორისო ორგანიზაცია ,,მერსი ქორპსი"-ს (Mercy Corps), მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის წარმომადგენლებთან საქართველოში თანამშრომლობით, აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტების გამგეობებთან და ა(ა)იპ „აჭარის ქალ-ბიზნესმენთა ასოციაცია"-სთან არსებულ ქალთა ოთახებთან, უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა.

აღნიშნილი მემორანდუმი ხელს შეუწყობს აჭარის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის საფუძველზე გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერებასა და მუნიციპალიტეტებში გენდერული მეინსტრიმინგის, კერძოდ მოსახლეობის ცნობიერების დონის ასამაღლებლად გენდერული თანასწორობისა და ძალადობის საკითხებზე, ქალთა უფლებების დაცვასა და რეალიზებაზე მუნიციპალიტეტებთან ერთად საერთო ტრენინგებისა და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას. ასევე, აჭარის რაიონებში მხოვრებ ქალთა არსებული მდგომარეობის კვლევას, შეფასება/ანალიზსა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას. აქვე, ქალთა ოთახების მიერ გამოვლენილ ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახური ძალადობის შემთხვევებზე სათანადო რეაგირების მიზნით ადვოკატირებას.

ღონისძიებას ესწრებოდნენ აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები, აჭარის მუნიციპალიტეტის გამგებლები და ქალთა ოთახების მენეჯერები.

10. 19 ივლისს, 2017 წ. გენდერული თანასწორობის საბჭოსთან თანამშრომლობით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის („შსს-ს ხელშეწყობა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში") ფარგლებში, ოჯახში ძალადობისა პრევენციის ერთიანი პოლიტიკის განხორციელებისთვის, ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში შეხვედრა გაიმართა. სამუშაო შეხვედრაში, რომელიც კითხვა-პასუხისა და დისკუსიის რეჟიმში წარიმართა, მონაწილეობდნენ სასამართლოს, პროკურატურის, პოლიციის, სოციალური მომსახურების სააგენტოს და აჭარის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები. აღნიშნული შეხვედრის მიზანი თანამშრომლობის ქსელის შექმნა და ჩართულ მხარეებთან კორდინაციის გაუმჯობესება იყო.

11. 20 ივლისს, 2017 წ. გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ნინო ჩხეტია იყო მთავარი მომხსენებელი დისკუსიაში - „სამართლიანობის ახალი ჩარჩოები: გენდერისა და კანონის გადაკვეთა", რომელიც გაიმართა ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს ორგანიზებით, ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში.

რა პოტენციალი აქვს გენდერული სამართლიანობის პრინციპების კანონმდებლობაში გატარებას? როგორია გენდერული სამართლიანობის ალტერნატიული ჩარჩო, რომელიც საკანონმდებლო განზომილებას სცდება? ამ და სხვა კითხვების ირგვლივ გაიმართა აღნიშნული დისკუსია, რომლის დროსაც ნინო ჩხეტიამ ყურადღება გაამახვილა ქართულ კანონმდებლობაზე, რომლებიც უმეტესწილად მაინც მამაკაცურ გამოცდილებასა და ხედვას ასახავენ, რაც საკანონმდებლო ორგანოში ქალთა წარმომადგენლობის დაბალი მაჩვენებლის შედეგია. დადებითად შეაფასა სამოქალაქო საზოგადოების ადვოკატირებითა და პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მხარდაჭერის შედეგად თვითმმართველობის არჩევნების წინ პარლამენტში განმეორებით შესული ინიციატივა პარტიულ სიებში გენდერული კვოტირების შემოღებაზე. ასევე, კონსტიტუციის ორი მნიშვნელოვანი ჩანაწერი: 1. ადამიანთა თანასწორობის და დისკრიმინაციის აკრძალვის მუხლში საფუძვლების ჩამონათვალი გახდა ღია. 2. სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისთვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

12. 24 ივლისს, 2017 წ. ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის გაზრდასა და თვითმმართველობის არჩევნებზე ქალი კანდიდატების მხარდაჭერისთვის აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის ნინო ჩხეტიასა და ა/ო „ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის" ინიციატივით, ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში შეხვედრა გაიმართა. ნინო ჩხეტიამ ქალ-პოლიტიკოსთა და ხელისუფლებაში დასაქმებულ ქალთა საქმიანობაზე და ქალთა წინააღმდეგ არსებული ძალადობის პრობლემებზე ისაუბრა, ასევე საკანონმდებლო ცვლილებებზე, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ქალთა აქტიურობას ხელისუფლების სხვადასხვა შტოებში.
პარლამენტში ქალთა პროცენტული რაოდენობის გავლენა საკანონმდებლო პროცესზე პროცენტულად ასე გამოიყურება:

წარმოდგენილი კვლევის თანახმად, თუ პარლამენტში ქალი არის 20% - კანონმდებლები სერიოზულად იწყებენ ბავშვთა ინტერესებიდან გამომდინარე კანონპროექტებზე მუშაობას; 30% - განიხილება და მიიღება ქალთა ინტერესებიდან გამომდინარე კანონები და სახელმწიფო პროგრამები;40-50% მიიღება მაღალი პასუხისმგებლობის ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ხელს უწყობენ ქვეყნის მდგრად განვითარებას.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა, რომელსაც სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ღონისძიება ჩატარდა პროექტის „თანასწორობა იგებს'' ფარგლებში, რომელსაც „ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის" აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით ახორციელებს.

13. 28 ივლისს, 2017 წ. გენდერული თანასწორობის საბჭოს თანაორგანიზებით ბათუმში, სასტუმრო „ჰილტონში" ასოციაცია „ჰერა -XXI" პროექტის „რეპროდუქციული ჯანმრთელობა ქალის არჩევანია" ფარგლებში გაიმართა ტრენინგი თემაზე: „გენდერული საბჭოების გაძლიერება რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე".
ტრენინგი ემსახურებოდა თანამშრომლობას, ფართო დისკუსიას და კომპეტენციის გაძლიერებას რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და ქალის უფლებებთან, ასევე, გენდერული

თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკისა და საერთაშორისო აქტებით ნაკისრი ვალდებულებების გაცნობას.

ტრენინგში მონაწილეობდნენ გენდერული საბჭოს წევრები (ნინო ჩხეტია, ილია ვერძაძე, პეტრე ზამბახიძე) გენდერული თანასწორობის საკითხებში მრჩევლებისა და მთავრობის წარმომადგენლების აპარატის თანამშრომლები, აჭარის რეგიონში არსებულ მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები.

14. 3 აგვისტოს, 2017 წ. გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ჩხეტიამ უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 19 მაისის #160 დადგენილებით დამტკიცებული „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის „(1.2 გრაფის) თანახმად, გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის შექმნა/გაძლიერების მიზნით, რეკომენდაციით მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს მთავრობის აპარატში გენდერული თანასწორობის საკითხებში მრჩევლის საშტატო ერთეულის შემოღებაზე. ასევე, ზემოხსენებული სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინაციასა და მონიტორინგის მიზნით აჭარის სამინისტროების წარმომადგენლებს და სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს მათ მიერ გატარებულ ან დაგეგმილ ღონისძიებათა შესახებ ინფორმაციის მოწოდებაზე.

15. 6 დეკემბერს, 2017 წ. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, უმაღლესი საბჭოს ვიცე-სპიკერი მერაბ კარანაძე მოხსენებით გამოვიდა ბათუმში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ გამართულ ქალ მეწარმეთა ფართომასშტაბიან შეხვედრაზე : ქალები ბიზნესში მეტი შესაძლებლობები“, რომელსაც 100-ზე მეტი მეწარმე და მენეჯერი ქალი ესწრებოდა დასავლეთ საქართველოს რეგიონიდან.

როგორც მერაბ კარანაძემ შეხვედრისას განაცხადა, რომ საკანონმდებლო ორგანოს გენდერული თანასწორობის საბჭო რეგიონში ქალი მეწარმეების მხარდასაჭერად აქტიურად თანამშრომლობს აჭარაში მოქმედ შესაბამის ორგანიზაციებთან და მუნიციპალიტეტებში არსებულ ქალთა ოთახებთან, რაც განმტკიცებულია მიმდინარე წელს თანამშრომლობის ფარგლებში, 2017 წლის 7 ივლისს გაფორმებული მემორანდუმით, რომელთა საქმინობაც მოიცავს ქალის ეკონომიკურ გაძლიერებას ადგილობრივ დონეზე, ქალთა საჭიროებების, სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას. ამ მიმართულებით გენდერული თანასწორობის საბჭო გეგმავს შეხვედრის მოწყობას - თუ რომელ დარგებში მიაღწიეს ქალებმა წარმატებას, მათ ბიზნეს საქმიანობაში რა სახის პრობლემებს აწყდებიან, რათა საჭიროების შემთხვევაში საბჭოს მხრიდან გაეწიოთ შესაბამისი დახმარება/ადვოკატირება.

17. 15-16 დეკემბერს, 2017წ. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონიძიებათა 2016–2018 წლების - მიმდინარე გეგმის შესრულებისთვის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით, წყალტუბოში გაიმართა გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების სამუშაო შეხვედრა, რომლის დროსაც გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა მოახდინეს იდენტიფიცირება რესურსებისა, დასახეს ახალი ამოცანები და შეიმუშავეს 2019-2020 წწ-ის სამოქმედო გეგმის ამოცანები და მიზნები, რომელიც ერთიანი დოკუმენტის სახით წარედგინება უმაღლეს საბჭოს 2018 წლის საშემოდგომო სესიაზე დასამტკიცებლად.

აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს
გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ნინო ჩხეტია

ბაქვი, 20.04.2018 წ.